პროექტი

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 19.02.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.04.001.016100) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-16 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის $კ^1$ ქვეპუნქტი:**

„$კ^1$) საჭიროების შემთხვევაში, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის, გაჩერების ან/და დგომის პირობების განსაზღვრა;“;

2. 68-ე მუხლის პირველ პუნქტს „$ვ^4$“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ვ^5$“ ქვეპუნქტი:

„$ვ^5$) საჭიროების შემთხვევაში, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის, გაჩერების ან/და დგომის პირობების განსაზღვრა;“.

3. 75-ე მუხლს, „$ე.ე^4$“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ე.ე^5$“ ქვეპუნქტი:

„$ე.ე^5$) საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს და თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის, გაჩერების ან/და დგომის პირობებს;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**